

ვლადიმირ სოლოვიოვი

Владимир Соловьев

ჭეშმარიტი ფილოსოფიის გზაზე

ხელოვნების გოგადი აზრი

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი / 2024

ესსეში „ჭეშმარიტი ფილოსოფიის გზაზე“ ავტორის მიერ მისტიკოსისა და ფილოსოფოსის, ლაზარე ფონ ჰელენბახის, ერთ-ერთი ძირითადი ნაწარმოების კრიტიკა უფრო ზოგად ხასიათს იძენს და ფილოსოფიის მიმართულებას განსაზღვრავს – „ადამიანურ გამონაგონთა სფეროდან ღვთიური ჭეშმარიტების სფეროში“.

ესსეი „ხელოვნების ზოგადი აზრი“ კი აყალიბებს ავტორის შეხედულებებს მის სისტემაში ესთეტიკის ადგილის შესახებ.

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი

კორექტორი: ლიზი ქობილაშვილი

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6711-8

## სარჩევი

ჭეშმარიტი ფილოსოფიის გზაზე.....	5
ხელოვნების ზოგადი აზრი.....	39

## ჭეშმარიტი ფილოსოფიის გზაზე

ჩვენი ინდივიდუალური არსების მეცნიერული გზით დაცვა და მისთვის განსაკუთრებული ადგილის მოძიება გერმანული ფილოსოფიის ყოვლისშთანმთქმელ „აბსოლუტურსა“ და ბუნებისმეტყველების ყოვლისგამხრწნელ მექანიზმს შორის – აი, „ინდივიდუალიზმის“ საინტერესო ამოცანა.

ადამიანის სული, რომელმაც განყენებული ფილოსოფია და განყენებული ბუნებისმეტყველება შექმნა, საბოლოოდ უნდა დარწმუნდეს, რომ ეს რთული და ოსტატური ნაგებობები ერთ სერიოზულ ხარვეზს გულისხმობს: მათში არ არის ადგილი თვით ხუროთმოძღვრისთვის.

ერთი მხრივ, გონებაჯვრეტი თი პანთეიზმი თავის „აბსოლუტურს“ აღმართავს მხოლოდ მის განყენე-

ბაზე ყოველივე ინდივიდუალურისგან, ვერ ამჩნევს რა, რომ ამ დროს თვით „აბსოლუტური“ სიცარიელედ იქცევა; მეორე მხრივ, დღეს გაბატონებულ „პოზიტიურ“ მსოფლმხედველობაში ჩვენს გონებას, გამოითვლის რა სამყაროს ელემენტებს, ერთობ გულუბრყვილოდ გამორჩება საკუთარი თავი.

როგორც უნდა იყოს განსხვავება და თვით წინააღმდეგობაც კი იდეალიზმის მეტაფიზიკასა და თანამედროვე ნატურალისტთა პოზიტიურ შეხედულებებს შორის, ისინი ერთ რამეში თანხვდებიან: აქაც და იქაც ადამიანი თამაშგარეთაა. თუკი სამყაროს არსი და აზრი ისეთ საგნებში მდგომარეობს, როგორიცაა „უპირობო იგივეობა“, „აბსოლუტური იდეა“, „არაცნობიერი“ და სხვა ამის მსგავსი რამ, მაშინ ადამიანისთვის თავისი სულიერი მოთხოვნილებებითა და ცხოვრებისეული ამოცანებით აქ ადგილი არ არის; მისთვის არც იმ შემთხვევაშია ადგილი, თუ სამყარო მოძრავი ნივითიერების მხოლოდ რთული მექანიზმია. პირველ შემთხვევაში ადამიანი იკარგება წარმავალი მომენტის აბსოლუტურის გულგრილობაში, მეორე შემთხვევაში ის ქრება, როგორც წუთიერი შეთავსება მატერიალური ნაწილაკებისა, რომლებიც ერთდება და კვლავ იშლება. მსგავსი შეხედულებები ადამიანზე, გარდა იმისა, მოგვწონს ისინი თუ არა, თვითონ

## ხელოვნების გლობალი აზრი

### I

ხე, რომელიც ბუნებაში იზრდება, და იგივე ხე, რომელიც ტილოზეა მშვენივრად დახატული, ერთგვარ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ქმნის, ერთგვარ ესთეტიკურ შეფასებას ექვემდებარება და მის გამოსახატავად ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვა ამაოდ არ გამოიყენება. მაგრამ ყველაფერი რომ ამ მოჩვენებითი და ზედაპირული ერთგვაროვნებით შემოიფარგლებოდეს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა შეკითხვის დასმა და კითხულობდნენ კიდევ: რა საჭიროა სილამაზის ასეთი გაორება? ბავშვური გართობა ხომ არ არის სურათზე იმის გამოვლენა, რასაც უკვე აქვს მშვენიერი არსებობა ბუ-

ნებაში? ჩვეულებრივ, ამაზე უპასუხებენ (მაგ., ტენი თავის „ხელოვნების ფილოსოფიაში“), რომ ხელოვნება სინამდვილის თვით საგნებსა და მოვლენებს კი არ აჩვენებს, არამედ მხოლოდ იმას, რასაც მათში ხელოვანი ხედავს, ჭეშმარიტი ხელოვანი კი მათში მხოლოდ მათ ტიპურ, დამახასიათებელ ნიშნებს ხედავს. ბუნებრივ მოვლენათა ესთეტიკური ელემენტი მას შემდეგ, რაც ხელოვანის ცნობიერებასა და წარმოსახვას გაივლის, ყველა მატერიალური შემთხვევითობისგან იწმინდება და, ამგვარად, ძლიერდება და უფრო მკვეთრად წარმოდგება. ბუნებაში, მის ფორმებსა და ფერებში გაღვრილი სილამაზე სურათზე კონცენტრირებული, შესქელებული, ხაზგასმულია. ამ განმარტებით საბოლოოდ დაკმაყოფილება უკვე მარტო იმიტომ არ შეიძლება, რომ ხელოვნების მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგების მიმართ ის საერთოდ გამოუყენებელია. მაგალითად, რომელი ბუნებრივი მოვლენებია ხაზგასმული ბეთჰოვენის სონატებში? ცხადია, რომ ხელოვნებისა და ბუნების ესთეტიკური კავშირი უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია. ის მართლაც იმ მხატვრული საქმის გაგრძელებასა და არა განმეორებაში მდგომარეობს, რომელიც ბუნებამ დაიწყო და ასევე იმავე ესთეტიკური ამოცანის შემდგომ და უფრო სრულ გადაწყვეტაში.

ბუნებითი პროცესის შედეგი არის ადამიანი ორობითი საზრისით: პირველ რიგში, როგორც ყველაზე მშვენიერი,<sup>1</sup> და, მეორეც, როგორც ყველაზე ცნობიერი ბუნებითი არსება. ამ უკანასკნელი სახით ადამიანი თვითონ იქცევა შედეგიდან სამყაროული პროცესის შემოქმედად და მით უფრო სრულყოფილად შეესაბამება მის იდეალურ მიზანს – სამყაროს სულიერი და მატერიალური, იდეალური და რეალური, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებისა და ელემენტების სრულ ურთიერთშელწევასა და თავისუფალ სოლიდარობას. მაგრამ შესაძლოა იკითხონ, რატომ წარმოგვიდგება მთელი სამყაროული პროცესი, რომელიც ბუნებამ დაიწყო და რომელსაც ადამიანი განაგრძობს, სწორედ ესთეტიკური მხრით, როგორც რაღაც მხატვრული ამოცანის გადაწყვეტა? ხომ არ აჯობებს, მიზნად სიმართლისა და სიკეთის განხორციელება, უმაღლესი გონებისა და ნების ზეიმი ვაღიაროთ? თუკი ამის პასუხად შევახსენებთ, რომ სილამაზე მხოლოდ გრძნობითი ფორმებით სწორედ იმ იდეალური შინაარსის განსახიერებაა, რომელსაც სი-

---

1. აქ მე სილამაზეს ვგულისხმობ ზოგადი და ობიექტური აზრით, სახელდობრ, რომ ადამიანის გარეგნობას უფრო სრულყოფილი (უფრო იდეალური) შინაგანი შინაარსის გამოხატვა შეუძლია, ვიდრე სხვა ცხოველებს.